პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 98 (3582)

1968 წ. 21 მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.





## დაბოლოს, რეკორდებიც!

ლუგანსკში დამთავრდა ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. გათამაშდა ოქროს მედლები ბოლო სამ წონით კატეგორიაში.

იან ტალტსი. ეს სახელი ჰქუხს ძალოსნურ სამყაროში. ბოლო წლებში არ ყოფილა არც ერთი შეჯიბრება, სადაც ტალტსს უასპარეზნია და ერთი შესწორება მაინც არ შეეტანა რეკორდების ცხრილში. შესანიშნავმა ესტონელმა ათლეტმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და წლევანდელ ჩემპიონატში პირველი რეკორდი დაამყარა. რეკორდი, როგორც იტყვიან, უმაღლესი ხარისხისა გახლდათ — მსოფლიო! ატაცში ტალტსმა 153,5 კგ აჩვენა და ნახევარი კილოგრამით დაამძიმა თავისივე მსოფლიო რეკორდი ქვემძიმე წონის სპორტსმენთათვის. მაგრამ ამ მოძრაობაში ოქროს მცირე მედალი მას არ ერგო, ვინაიდან რეკორდი დამატებით, მეოთხე ცდაზე იყო ნაჩვენები.

ატაცში ჩემპიონი გახდა ა. კალინიჩენკო (ვოლგოგრადი) — 147,5 კგ.

ტალტსმა სამჭიდში 500 კგ დააგროვა და ჩემპიონობა გაინაღდა. ოქროს მეორე მედალი მან მიიღო აკვრაში — 190 კგ. აჭიმვაში ჩემპიონია ა. პრიცი (ვილნიუსი) — 165 კგ.

სამჭიდში ვერცხლის მედალი ერგო ლუგანსკელ ა. კიდიაევს — 492,5 კგ, ხოლო ბრინჯაოსი — კალინიჩენკოს — 487,5 კგ.

მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრებისას გაიხარეს ადგილობრივმა გულშემატკივრებმა: ჩემპიონობა დაისაკუთრა მათმა თანაქალაქელმა ი. იაბლონოვსკიმ — 495 კგ. მანვე ახალი საკავშირო რეკორდით ოქროს მედალი მოიხვეჭა აკვრაში — 195,5 კგ.

ზემძიმე წონის ათლეტთა ასპარეზობას მოუთმენლად ელოდნენ ძალოსნობის სპეციალისტებიც და მაყურებლებიც, მაგრამ მათი მოლოდინი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. საქმე ის არის, რომ ყველა მოელოდა კიეველი ლ. ჟაბოტინსკის სარეკორდო შედეგს აჭიმვაში, ჟაბოტინსკი კი მისთვის ერთობ მოკრძალებულ შედეგს (195 კგ) დასჯერდა, თუმცა ეს ჩემპიონობისთვის საკმარისი გამოდგა. საბჭოთა გოლიათი უძლიერესი იყო ატაცშიც — 170 კგ. და მაინც ჟაბოტინსკიმ ერთი მსოფლიო რეკორდით დაამშვენა შეჯიბრება: აკვრაში მან 220 კგ აჩვენა! ოქროს მეოთხე მედალი კიეველმა ათლეტმა სამჭიდში დაიმსახურა — 585 კგ.

ჟაბოტინსკის 30 კილოგრამით ჩამორჩა II ადგილზე გასული ს. ბატიშჩევი (დონეცკი). ბრინჯაოს მედალი სამჭიდში ერგო ვ. ალექსეევს (როსტოვის ოლქი) — 540 კგ.

• • •

**სურათებზე:** მარცხნივ — **სსრ კავშირის ჩემპიონი გ. ჩეტინი (მჩატე წონა);** მარჯვნივ — **ამავე წონაში ოქროს მედლის მფლობელი აჭიმვაში ვ. კრიშჩიშინი.**

ფოტო ვ. შანდრინისა და რ. აზრიელისა (საკდესი).

## მეშვიდედ!

**მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში შარშან მოპოვებული წარმატებებისთვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში I ადგილის მოხვეჭისთვის „სპარტაკის" ცენტრალურმა საბჭომ საქართველოს საბჭო გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა.**

**საზოგადოებამ 1967 წლის გეგმები და თვითვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულა, მოამზადა 3 სპორტის საერთაშორისო კლასის ოსტატი, 24 სპორტის ოსტატი, 29 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 396 პირველთანრიგოსანი, 26.341 II, III და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენი, 2486 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 2974 მსაჯი.**

**1967 წელს საქართველოს „სპარტაკის" ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი 185-ით გაიზარდა, ფიზკულტურელთა რაოდენობამ კი 168 ათასს მიაღწია, საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია 95.000 კაცი.**

**„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, გორის საქალაქო, სამტრედიის, თელავის, ლაგოდეხის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ბორჯომის და სხვა რაისაბჭოებმა.**

**ეს საზოგადოების მეშვიდე გამარჯვებაა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.**

◆ **როსტოკი,** 20 მაისი. წყალში მხტომელთა აქ დამთავრებულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ევროპის ჩემპიონმა ვ. ბაკლანოვამ (მოსკოვი). 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მან 438,68 ქულა დააგროვა და პირველობა მოიპოვა. II ადგილზე გავიდა რომისა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ი. გულბინ-კრემერი — 416,58 ქულა. კოშკიდან ხტომაში უძლიერესი იყო გდრ-ის წარმომადგენელი რ. შპერლინგი — 473,70 ქულა.

◆ **ზელენა გურა,** 20 მაისი. პოლონეთის ამ ქალაქში ჩატარდა მიკროავტომობილებით — გოკარტებით მეგობრობის თასზე შეჯიბრების პირველი ეტაპი. გაიმარჯვა კ. შერინგმა (გდრ). II, III და IV ადგილები დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა ა. საფონოვმა, ვ. ბარტნეკსმა და ო. შაევმა. ვ. ლიტკინი VI ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში 10 საჯარიმო ქულით საუკეთესონი იყვნენ გდრ-ის ავტომობილისტები. შემდეგ მოდიან: სსრ კავშირი — 13 ქულა, პოლონეთი — 32, უნგრეთი — 36.

სსრ კავშირის პირველობა

## გუშინ...

თბილისი. „დინამოს" სტადიონი.

„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი) 1:1 (0:1).

„დინამო": კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჰელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ქიქავა (ლ. ნოდია), მეტრეველი, სიჭინავა, გავაშელი.

„შახტიორი": დეგტიარევი, პოლაკი, პერშინი, გუბიჩი, დროზდენკო, გრიგორიევი, სტანკიავიჩუსი (ოგირჩუკი), გლოდიანისი, იარემჩენკო, ლობანოვსკი, ევსეენკო.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

ბურთები გაიტანეს: ლობანოვსკიმ (მე-15 წ.) და მეტრეველმა (65-ე წ.).

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრა გუშინწინ ფრედ დამთავრდა — 1:1.

• • •

**„არარატი" — „ზარია" 3:0**
**ასკ (როსტოვი) — „ნეფტჩი" 1:0**
**„დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 2:0**
**„ჩერნომორეცი — ცსკა 1:0**



კიროვაბადში ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო ქუთაისის „ტორპედო". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

## ლიდერობა ხელთ იგდო კიევის „დინამომ"

## ოქრო და ვერცხლი

**ფ. მარტყოფლიშვილი, რ. მაღალთაძე და ვ. საუნინი — ჩემპიონები**

ლოზანა, 20 მაისი. ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატის გუშინ დღეს ხაზგუთა „თელეფუმმა" ოქროსა და ვერცხლის მოსავალი მოიმკეს: კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ამგვარი ტურნირების თბილისელი დებიუტანტები ფირუზ მარტყოფლიშვილი (მსუბუქი წონა) და როინ მაღალთაძე (ქვეხაშუალო).

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა კიეველმა ვ. საუნინმა, რომელმაც ე. წ. „ღია კლასის" ფინალში დაამარცხა იუგოსლაველი კრაინოვიჩი.

ლენინგრადელმა ს. სუსლინმა (მსუბუქი წონა) და თბილისელმა ო. ნათელაშვილმა (ქვესაშუალო) ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს.

● **ვროცლავი,** 20 მაისი. **ბულგარეთის, იუგოსლავიისა და პოლონეთის მსროლელთა წინაოლიმპიურ შეჯიბრებისას მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში ეპიფანე დუშანმა 600 შესაძლებლიდან 600 ქულა მოაგროვა.**

● **ბარდენ-სიტი** (კანზასის შტატი), 20 მაისი. ამერიკის შეერთებული შტატების კოლეჯების იუნიორთა ეროვნულ ჩემპიონატში არიზონას შტატის წარმომადგენელმა, 18 წლის მარკ მურომ შუბი 83,21 მეტრზე ტყორცნა. ევროპაში წლეულს უფრო შორს ტყორცნა შუბი ჰ. შტრაუსმა (გფრ) — 83,49 მ.

● **ბაულდერი** (აშშ), **20 მაისი.** კოლორადოს შტატის ამ მაღალმთიან ქალაქში (1767 მ) გამართული შეჯიბრების დროს ერთ მილზე რბენაში მსოფლიო რეკორდის (3.51,1) მფლობელმა ჯ. რაიანმა მხოლოდ 4.10,3 აჩვენა. „მე დაბლობის მცხოვრები ვარ და მაღალმთიანეთში რბენა ძალიან გამიჭირდა", — განუცხადა შეჯიბრების შემდეგ იუპი-ს კორესპონდენტს რაიანმა.

● **რომი,** 20 მაისი. იტალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ყველას აჯობეს ლეშლი ტერნერ-ბაურიმ (ავსტრალია) და ტომ ოკერმა (ჰოლანდია). ფინალში ტერნერ-ბაურიმ დაამარცხა თანამემამულე მ. სმით-კურტი (2:6, 6:2, 6:3), ხოლო ოკერმა — ბ. ჰიუიტი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 10:8, 6:8, 6:1, 3:6, 6:0. ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს სმით-კურტმა და ინგლისელმა ვ. უეიდმა, ხოლო ვაჟთა წყვილებში — ოკერმა და ამერიკელმა მ. რისენმა.

● **ჰალე, 20 მაისი.** გდრ — ლიხტენშტაინის მძლეოსანთა მატჩში 33 წლის ლოტარ მილდემ გუშინ 62,17 მეტრზე ტყორცნა ბადრო (პირადი მიღწევა). ვეტერანს სულ რაღაც 9 სანტიმეტრი დააკლდა გდრ-ის რეკორდამდე.

● **ჰააგა,** 20 მაისი. „250-ანების" კლასში მსოფლიო ჩემპიონატის V ეტაპი მოტოკროსმენებმა ჰოლანდიის ტრასაზე გამართეს. გაიმარჯვა ბელგიელმა ჟ. რობერმა. II ადგილზეა პეტერსონი (შვეცია), ხოლო III — ჰებერსი (ბელგია). IV ადგილი დაიკავა საბჭოთა მრბოლელმა გ. მოისეევმა. მსოფლიო ჩემპიონი ჰალმანი (შვეცია) ამ ეტაპზე მეხუთე იყო. 5 ეტაპის ჯამში ლიდერობს რობერი — 26 ქულა. 22 ქულით II ადგილზეა ჰებერსი.

● **სტოკჰოლმი,** 20 მაისი. „500-ანების" კლასში „შვეციის დიდი პრიზი" და მსოფლიო ჩემპიონატის III ეტაპი მოიგო შვედმა მოტოკროსმენმა ა. იუნსონმა. მისი თანამემამულე ჰამარგრენი II ადგილზეა, ხოლო ბელგიელი დე კოსტერი — მესამეზე. საბჭოთა სპორტსმენები უხეიროდ გამოვიდნენ: პირველ სერიაში II ადგილზე გასული ვ. პოგრებნიაკი და VI ადგილზე მყოფი ვ. ბრუნისი მეორე სერიის შეჯიბრებისას რბოლას გამოეთიშნენ. პირველი სერია ვერ დაამთავრა მსოფლიო ჩემპიონმა პ. ფრიდრიქსმა (გდრ), მაგრამ მან მეორე სერია მოიგო. 3 ეტაპის ჯამში დაწინაურდა რ. დე კოსტერი — 12 ქულა.

**ჭადრაკი.** რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაზი (რუსთაველის პრ. № 17). ქალთა **საერთაშორისო ტურნირი. დღეს — IX ტური.** დასაწყისი 11 ს.

**რეგბი.** „დინამოს" სტადიონი. **საქართველოს პირველობა რეგბიში. დღეს — მატჩი I ადგილისთვის: „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი).** დასაწყისი 18 ს.

# როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?

კლდეზე ცოცვაში თბილისის პირველობის დაწყების წინ სპორტსმენებმა ძალა მეტეხის ციხის კლდეზე მოსინჯეს. ეს იყო ბარის მთამსვლელების, როგორც მათ უწოდებენ, გენერალური რეპეტიცია. და აი, ამას წინათ ლეღვთახევში საზეიმოდ გაიხსნა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის, უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და ახალგაზრდა მთამსვლელთა სკოლის სპორტსმენები.

ასპარეზობის პროგრამაში, რომელმაც ორ დღეს გასტანა, შედიოდა წყვილთა ინდივიდუალური გარბენი და გუნდური პირველობა.

ინდივიდუალურ პირველობაში ჭაბუკებში კვლავ თბილისის შარშანდელმა ჩემპიონმა თ. ბაქანიძემ გაიმარჯვა (დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა). II ადგილი წილად ხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელ ი. გელდიაშვილს, ხოლო III — გ. საჯაიას (უნივერსიტეტი).

თ. ბაქანიძე გამოცდილი მთამსვლელია, რომელსაც, არაერთხელ მოუხვეჭია თბილისის ჩემპიონის სახელი. 1965 წელს მან გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ჩემპიონობა დაისაკუთრა კლდეზე ცოცვაში. ბაქანიძემ წლეულსაც შეინარჩუნა უძლიერესის სახელი, მაგრამ კლდესთან ის ლამაზი ჭიდილი, რომელიც მისთვის ესოდენ დამახასიათებელია, ვერ გვიჩვენა. უფრო მეტიც, ბაქანიძეს წყვილთა გარბენის მთავარ ფავორიტადაც მიიჩნევდნენ, მაგრამ იგი კლდეს მოსწყდა და შეჯიბრებიდან მოიხსნა.

საქართველოს პირველობის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. როგორც ჩანს, ბაქანიძე, სათანადოდ არ ემზადებულა, არ ვარჯიშია და ახლა დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს.

ასევე დაფიქრება მართებთ საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს გ. საჯაიას და პრიზიორს ლ. გურჩიანს, რომლებიც ძალიან შორს არიან თავიანთი საუკეთესო ფორმისგან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწვრთნელებს მათთან სრულიად არ უმუშავიათ. ის ამბავი, რომ საჯაია წყვილთა გარბენში თბილისის ჩემპიონი გახდა, ბევრს არაფერს ნიშნავს. შეჯიბრების ამ სახეობაში II ადგილი დაიკავა ახალგაზრდა მთამსვლელთა სკოლის წარმომადგენელმა ვ. ლაფერაშვილმა, ხოლო III — ი. გელდიაშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ქალთა შორის თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა შარშანდელმა პრიზიორმა ნ. ლაცაბიძემ (უნივერსიტეტი). II ადგილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი მ მ-ქაცარია, ხოლო III — საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის წარმომადგენელი, ახალბედა ბ. გოგოლაძე, რომლისგანაც მომავალში ბევრს უნდა ველოდეთ.

თბილისის საფინანსო-ეკონომიურმა ტექნიკუმმა შარშან პირველად მიიღო მონაწილეობა ამგვარ შეჯიბრებაში. ტექნიკუმელებმა მაშინ საპრიზო ადგილი ვერ დაიკავეს, მაგრამ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, წლეულს კი გუნდურ ჩათვლაში (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი პ. გვარლიანი) თბილისის ჩემპიონობა დაისაკუთრეს 1677,16 ქულით. ეს წარმატება გულმოდგინე და ინტენსიური წვრთნის შედეგია. გვარლიანს ძალა და ენერგია არ დაუზოგავს, რომ იმ მოსწავლეებისგან, რომელთა უმეტესობას ერთი წლის უკან კლდეზე ფეხიც არ შეედგა, ჩემპიონთა გუნდი გამოეჭედა.

II ადგილი 1560,33 ქულით დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, III — უნივერსიტეტის ნაკრებმა (1490,68).

პოლიტექნიკურმა, სასოფლო-სამეურნეო, პუშკინის სახელობის პედაგოგიურმა და სხვა ინსტიტუტებმა გუნდები არც წლეულს გამოიყვანეს. პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მთამსვლელობის დიდი ტრადიციები აქვს. აქ აღიზარდნენ ს. ხაბეიშვილი, ა. ძიძიგური და ნ. ნადირაშვილი, ფიზკულტურის ინსტიტუტში — ნ. კანკავა და პ. დიდებულიძე, სამხატვრო აკადემიაში — ლ. დანგაძე და თ. ბაქანიძე. რას აკეთებენ ახლა ამ სახელოვანი მთამსვლელების აღმზრდელი კათედრები?

საყვედურის ღირსია უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრა. აქ აღიზარდა სახელოვან მთამსვლელთა მთელი პლეადა — ჯ. მეძმარიაშვილი, თ. კუხიანიძე, გ. თიკანაძე, ო. გიგინეიშვილი, ს. ცაიშვილი, თ. და რ. ხაზარაძეები და ბევრი სხვა. ახლა კი კლდეზე ცოცვაში უნივერსიტეტის ღირსებას კურსდამთავრებულნი იცავდნენ. სად არის მათი ცვლა? სად დაიკარგა ტრადიციები?

აღსანიშნავია მსაჯთა კოლეგიის (მთავარი მსაჯი რ. ხაზარაძე) კარგი მუშაობა.

**ლ. მუსხელაძე.**

კლდეზე ცოცვაში თბილისის პირველობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სპორტსმენებმა ძალა მეტეხის ციხის კლდეებზე მოსინჯეს. ქალებში უძლიერესი იყო საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ნუნუ ლაცაბიძე (უნივერსიტეტი), ხოლო ვაჟებში — ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი ირაკლი გელდიაშვილი, რომელსაც გაზეთ „ლელოს" პრიზი ხვდა წილად.

* * *



სურათებზე: ქვევით — შეჯიბრების მომენტი; ზევით — თბილისის ჩემპიონი — საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის გუნდი (მარჯვნივ — მწვრთნელი პ. გვარლიანი).

ფოტო ავტორისა და თ. გაჩეჩილაძისა.



# ბევრი საყურადღებო მოხსენება

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში სამ დღეს გაგრძელდა ფიზიკური ვარჯიშისა და სპორტის ბიომექანიკის საკითხებისადმი მიძღვნილი საკავშირო სემინარი, რომლის მუშაობაშიც ჩვენი ქვეყნის 32 ქალაქის სწავლულები მონაწილეობდნენ.

სემინარის გახსნისას ჩვენმა ერთ-ერთმა მოწინავე ბიომექანიკოსმა, პროფესორმა ლ. ჩხაიძემ (თბილისი) აღნიშნა ცოცხალი მექანიკის სულ უფრო მზარდი როლი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. ეს მეცნიერება, — თქვა მან, — იძლევა საშუალებას, რომ ბიომექანიკური აღზრდის საფუძველზე წინასწარ განვსაზღვროთ სპორტული შედეგები, დავამუშაოთ ახალი მეთოდები.

ამ თავყრილობაზე ბევრი საყურადღებო მოხსენება იქნა წაკითხული. ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორმა ვ. პეტროვმა მსმენელთ საინტერესო ცნობები მიაწოდა სპორტში კვლევის კინემატოგრაფიული მეთოდის გამოყენების შესახებ. ეს მეთოდი მწვრთნელებსა და სპორტსმენებს აძლევს დროისა და სივრცის სხვადასხვა პარამეტრის ერთიანი და დიფერენცირებული განსაზღვრის საშუალებას, რასაც, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა ი. რატოვმა დამსწრეთ გააცნო თანამედროვე ასპექტში განხილული ბიომექანიკური სისტემების სპეციფიკური თავისებურებები. ეს თავისებურებები უთუოდ უნდა გაითვალისწინონ პრაქტიკოსმა მწვრთნელებმა და მკვლევარებმა როგორც სპორტული დატვირთვის დაგეგმვის, ისე საწვრთნელი პროცესის მსვლელობის დროს.

მოძრაობის სივრცობრივი პარამეტრების მიღების ციკლოგრამომეტრული მეთოდის ანალიზს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ლენინგრადის პროგნოზირების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიომექანიკის ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა ვ. ველიკსონმა. ეს მეთოდი აღმზრდელებსა და მწვრთნელებს ფიზიკური ვარჯიშის ანალიზის დროს უფრო თანამედროვე შესაძლებლობებს უქმნის, პრაქტიკოსებს აძლევს უფრო მოქმედ იარაღს სპორტული რეკორდებისა და მიღწევებისთვის ბრძოლაში.

საერთო ინტერესი და გაცხოველებული კამათი გამოიწვია ირკუტსკის უნივერსიტეტის მასწავლებლის ნ. სევერცოვის მოხსენებამ მოკლე მანძილებზე მორბენალთა კუნთური მოქმედების ბიომექანიკური სტრუქტურისა და ანალიზის შესახებ. მომხსენებელმა ექსპერიმენტის საფუძველზე დაადგინა სპრინტერთა ფორმით უფრო ოპტიმალური მოძრაობა. ამ გზით ცდის პირთა შედეგები ორ თვეზე ნაკლებ დროში საგრძნობლად ამაღლდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სევერცოვის შრომას, რომელიც ანატომიისა და ფიზიოლოგიის კანონებს ეყრდნობა, მალე წარმატებით გამოიყენებენ პრაქტიკაში.

პროფესორმა ლ. ჩხაიძემ წაიკითხა შინაარსიანი მოხსენება სპორტული ტექნიკის სწავლებაში ბიომექანიკური ანალიზის გამოყენებაზე.

დასასრულ სემინარის მონაწილეებმა განიხილეს სპორტის ბიომექანიკის სახელმძღვანელოს გეგმა-პროექტი. ფიზკულტურის ინსტიტუტებისთვის განკუთვნილი ამ ნაშრომის ავტორია მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი დ. დონსკოი.

**რ. ბელოვი,**
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ოლიმპიური სტარტისთვის

◆ **ახმეტა**

რაიონის ჭაბუკთა პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში მიზნად ისახავდა რესპუბლიკური ჩემპიონატისთვის კანდიდატების შერჩევას. ასპარეზობა საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. ხანგოშვილმა, გ. იოსებაშვილმა, რ. ონიაშვილმა, თ. აბულაშვილმა, ლ. ფრუიძემ, ზ. ქინქლაძემ, ა. ქიბროწაშვილმა.

**შ. ნათელაური.**

# თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა

**დ**ამთავრდა თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა. დღეს გაგაცნობთ მძლეოსნობის, ველოსპორტის, სპორტული ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ქართული ჭიდაობისა და კალათბურთის წარმომადგენელთა ასპარეზობის შედეგებს.

## მასობრიობა კარგია, თუ...

მძლეოსნურ ბილიკებსა და სექტორებზე 87 ქალი და 154 ვაჟი გამოვიდა, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში მოასპარეზეთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო. მაგალითად, თარჯრბენის სტარტი ერთმა ვაჟმა და ორმა ქალმა აიღო, შუბის ტყორცნაში კი სამი ქალი ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

არც ტექნიკური შედეგები ყოფილა სახარბიელო. 110 მეტრზე თარჯრბენში ჩემპიონმა, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდის წევრმა ზ. მკირვალიძემ მხოლოდ 18,9 წამი აჩვენა, რაც ყველა სათანრიგო მოთხოვნაზე დაბალია. ცუდი მდგომარეობა იყო შუბის მტყორცნელ ქალთა შეჯიბრებაშიც. პოლიტექნიკური ტექნიკუმის წარმომადგენელმა ფ. წითელაურმა მხოლოდ 19 მ აჩვენა და თითქმის 6 მეტრით აჯობა დანარჩენ ორ მონაწილეს. ასევე უხეიროდ იასპარეზეს ბირთვის მკვრელმა ვაჟებმა. 11,85 მ — ასეთი იყო ყველაზე მაღალი შედეგი, რომელიც მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წარმომადგენელს ო. მაისურაძეს ეკუთვნის. მისი თანაგუნდელი ზ. შმილოვა საუკეთესო იყო 100 მეტრზე რბენაში (14,0 წამი). ამავე სასწავლებლის ქალებმა ესტაფეტაში (4×100 მ) 57,2 წამი აჩვენეს.

დანარჩენ სახეობებში შედარებით უკეთ იყო საქმე. ი. გონჩუკმა (ინდუსტრიული ტექნიკუმი) შუბი 53,52 მეტრზე ტყორცნა; პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლემ გ. მებონიამ სიმაღლეზე ხტომაში 180 სმ დაძლია. მეორე თანრიგის ნორმატივით ჩემპიონობა მოიპოვეს, აგრეთვე, მანქანათმშენებელთა წარმომადგენლებმა ზ. სარქისიანმა 400 მეტრზე რბენაში (53,7) და ვ. ოგანესიანმა სამხტომში (14,25 მ). ოგანესიანის გამარჯვებით დამთავრდა სიგრძეზე ხტომაც — 605 სმ. ქალებში ყველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა ე. ქარსანიშვილმა — 468 სმ. 800 მეტრზე რბენაში პირველი იყო ს. ოგანესიანი (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 2.06,6. მისმა თანაგუნდელმა შ. ჯაბაშვილმა 100 მეტრზე რბენაში იმარჯვა — 11,7.

კარგად იასპარეზეს პოლიტექნიკური ტექნიკუმის დანარჩენმა წარმომადგენლებმაც. რ. კალაძემ ბადრო ყველაზე შორს, 38,07 მეტრზე ტყორცნა. სიმაღლეზე მხტომელ ქალებში პირველი იყო ლ. სავჩენკო — 140 სმ, ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში — ფ. ოჩიგავა — 10,51 და 22,50.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი — 11.111 ქულა, 2. პოლიტექნიკური ტექნიკუმი — 9.098, 3. ინდუსტრიული ტექნიკუმი — 5.387.

## ვარაუდი გამართლდა

20 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით რბოლაში პირველობისთვის 30 ვაჟი იბრძოდა. როგორც ვარაუდობდნენ, გაიმარჯვა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წარმომადგენელმა, გამოცდილმა ოსტატმა ს. გრიშკევიჩმა — 30.04,5. რკინიგზის ტექნიკუმელი ბ. ციმბალი მეორე იყო (30.30,0), გრიშკევიჩის თანაგუნდელი რ. გაგიევი კი — მესამე (30.55,0). გუნდურ ჩათვლაშიც მომავალმა მანქანათმშენებლებმა გაიმარჯვეს.

დაყოფილი სტარტით 15 კილომეტრზე ქალთა ინდივიდუალურ რბოლაშიც მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წარმომადგენელმა ლ. კუნდირევამ იმარჯვა — 26.18. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლეები ს. პავლოვა (27.37) და ო. დიჩკო (28.40). გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი პოლიტექნიკური ტექნიკუმის წარმომადგენლებს ჰქონდათ, II ადგილზე იყო მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდი, III — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმისა.

საერთო-გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. მანქანათმშენებლობის, 2. პოლიტექნიკური, 3. რკინიგზის ტექნიკუმი.

## ერთადერთი

სპორტულ ტანვარჯიშში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ინდუსტრიულ და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმებს ჰყავდათ.

სპორტის ოსტატის კანდიდატის პროგრამით მხოლოდ ერთი ვაჟი გამოვიდა — ვ. პეტრენკო (ინდუსტრიული ტექნიკუმი). მისი შედეგია 102,55 ქულა.

მანქანათმშენებლობის ტექნიკუმელმა ვ. რომანენკომ I თანრიგის პროგრამით ასპარეზობაში 103,3 ქულა მიიღო და 3,5 ქულით აჯობა ერთადერთ მეტოქეს ა. ხაპროვს (ინდუსტრიული ტექნიკუმი). ამ უკანასკნელის თანაგუნდელებმა გ. მოსეშვილმა და თ. გელენიძემ ყველას აჯობეს II და III თანრიგის პროგრამით — შესაბამისად 104,45 და 104,7 ქულა მოაგროვეს.

ქალთა შორის ოსტატის პროგრამით ასპარეზობდა მხოლოდ ინდუსტრიული ტექნიკუმის წარმომადგენელი ა. კუკოტა, რომელმაც 72,4 ქულა დააგროვა. მისი თანაგუნდელი ლ. მარჩენკო საუკეთესო იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზეებში. პირველთანრიგოსნებში გაიმარჯვა ლ. პონომარიოვამ (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 67,35, II თანრიგის პროგრამით — ზ. ბერიაშვილმა (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 65,2, III თანრიგით — ჟ. ჯიოევმა (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 68,75.

საპრიზო ადგილები საერთო-გუნდურ ჩათვლაში: 1. ინდუსტრიული — 774,851. 2. მანქანათმშენებლობის — 731,25, 3. პოლიტექნიკური ტექნიკუმი — 687,492.

## შედეგები ცუდი არ იყო

ძალოსნობაში ნაჩვენებია 6 პირველი და 3 მეორე თანრიგის შედეგი. ფიცარნაგზე სულ 45 სპორტსმენი გამოვიდა. პირად პირველობაში ჩემპიონობა მოიპოვეს ს. იაგუბოვმა (რკინიგზის ტექნიკუმი), თ. კიკალეიშვილმა (ვაჭრობის ტექნიკუმი), ა. კირაკოსოვმა, გ. ხორგუაშვილმა, პ. ლოქაბიძემ, რ. გომრელმა, დ. ელეფთერიდიმ (ყველა — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი).

გუნდურ ჩათვლაში 4287 ქულით I ადგილზე გავიდა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი. სავაჭრო ტექნიკუმს 3537 ქულა აქვს, მსუბუქი მრეწველობისას — 3171.

## მხოლოდ ჭიდაობაში

ქართულ ჭიდაობაში სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრეს: ა. მარუქაშვილმა, ნ. ახალაურმა, ვ. ტუღუშმა (ყველა — პოლიტექნიკური ტექნიკუმი), დ. ბევლარიშვილმა, ა. ჩახნაშვილმა (ორივე — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი), ბ. ჟიჟიაშვილმა, ნ. თაგვიაშვილმა (ორივე — სავაჭრო ტექნიკუმი), ო. მაისურაძემ (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი).

ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი მოიპოვა სავაჭრო ტექნიკუმმა, რომლის წარმომადგენლებმაც ამ ერთადერთ სახეობაში მიაღწიეს ჩემპიონობას. II ადგილზეა ინდუსტრიული, III — პოლიტექნიკური ტექნიკუმი.

## ქალებიც, ვაჟებიც

კალათბურთში ბადალი არ ჰყავდათ პოლიტექნიკური ტექნიკუმის ქალებსა და ვაჟებს. ქალებში II ადგილზე გავიდნენ მომავალი მანქანათმშენებლები, ვაჟებში — ინდუსტრიული ტექნიკუმის კალათბურთელები. III ადგილები ხვდათ მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის ქალებსა და ვაჟებს.

* * *

საერთო-გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს მომავალმა მანქანათმშენებლებმა (27 საჯარიმო ქულა). მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან პოლიტექნიკური (34) და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმების (61) სპორტსმენები.

**თ. გაჩეჩილაძე.**

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# ბათუმელები ქების ღირსი არიან

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 19 მაისი.

„დინამო" (ბათუმი) — „თერგი" (გროზნო) 2:1 (1:0).

„დინამო": კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, კვიტაიშვილი, ხაბიბულინი, გიორგაძე, მაისურაძე, ვერულიძე.

„თერგი": სმოლეევი, კოჩერგინი, კიუშნიკოვი, რიაბენკოვი, დენიევი, ზჩერბანი, აკოფოვი (კრიმსკი), ხაულოვი, ტოლსტოვი, მიხეევი, იაკუშკინი.

მსაჯი ნ. ბორისოვსკი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 „თერგის" სასარგებლოდ.

დინამოელთათვის ეს მატჩი ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა, ვინაიდან „თერგი" ქვეჯგუფის პოტენციური ლიდერი იყო აღნიშნული ტურისთვის, ბათუმის „დინამო" კი ახლა კანონიერ პრეტენზიებს აცხადებს ცხრილის სათავეში მოხვედრაზე.

შეხვედრის პირველი 15 წუთი სტუმრების დიდი უპირატესობით წარიმართა. მათ ზედიზედ ქქონდათ შესაძლებლობანი მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ თავდამსხმელები უხეიროდ ურტყამდნენ კარში. ამ გარემოებამ ბათუმელებს საშუალება მისცა გამოესწორებინათ თამაში და ახლა უკვე „თერგის" კარი აღმოჩნდა საშიშროების წინაშე.

პირველი ბურთი გატანილ იქნა ტაიმის დასასრულს. გროზნოელთა კართან მოწოდებული კუთხურისას შექმნილი არეულობა კარგად გამოიყენა ილურიძემ და „თერგს" ცენტრიდან მოუხდა თამაშის დაწყება — 1:0.

სტუმრებმა ყველაფერი იღონეს ანგარიშის გათანაბრებისთვის — მათ ძლიერი შეტევით დაიწყეს მეორე ტაიმი. 55-ე წუთზე ტოლსტოვის დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:1.

დადგა მატჩის გადამწყვეტი პერიოდი. ბათუმელები მთელი გუნდით გადავიდნენ იერიშზე, კვიტაიშვილმა გვერდი აუარა ორ მცველს, მოატყუა მეკარეც და გაიტანა გოლი, რომელმაც ბათუმის „დინამოს" დამსახურებული, მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# ფრე მწვავე ბრძოლაში

ტყიბული. „განთიადის" სტადიონი. 19 მაისი.

„მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 0:0.

„მეშახტე": ძიძიგური, ყანჩაველი, ჩუბინიძე, ლორთქიფანიძე, ჩიტიანი, ჯიშკარიანი (მეხიაჩენკო), შარაშენიძე, თოდიძე, გიორგობიანი, დავითულიანი (ამირანაშვილი), ქარქაშაძე.

„სპარტაკი": კონფედერატი, ბიჟიკაშვილი, პლიევი, ხუდიევი, კოჩიევი, კოსენიკოვი (მიროკოვი), ძაგოევი, სავიდი, პაპელიშვილი, კაიშაური (პოდლუჟნი), ზაზროევი.

მსაჯი ვ. ზადოიანი (ერევანი).

დუბლიორები — 3:1 „სპარტაკის" სასარგებლოდ.

ბათუმში განცდილმა მარცხმა საგრძნობლად გაუფუჭა სატურნირო მდგომარეობა ორჯონიკიძის „სპარტაკს". ეს გუნდი პირველივე ტურებიდან წარმატებით იბრძოდა და ახლა შერყეული მდგომარეობის გამოსასწორებლად მთელი ძალ-ღონით შეებრძოლა ტყიბულის „მეშახტეს". მაინც, საერთო უპირატესობას მასპინძლებმა მიაღწიეს და რამდენიმე სახიფათო გარღვევა განახორციელეს სპარტაკელთა კართან, თუმცა ბურთის გატანის შანსები სტუმრებსაც ჰქონდათ. კერძოდ, საუკეთესო მდგომარეობაში მყოფმა პაპელიშვილმა ბურთი კარს ააცილა.

23-ე წუთზე ბურთის გატანის მორიგი შესაძლებლობა დაკარგეს ტყიბულელებმა. გავიდა ორიოდე წუთი და „მეშახტის" კარი ზედიზედ ორჯერ იხსნა ძელმა კაიშაურისა და პაპელიშვილის დარტყმების შემდეგ.

ასე საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ეს მატჩი. მეტოქეებმა ვერც მეორე ტაიმში გამოიყენეს კარგი მომენტები და იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ ნულოვან ფრეს.

ზ. ჯორჯაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ტ. ზატულოვსკაია (ბაქო) — 4,5, ე. კაკაბაძე — 4 (2), ე. პოლიქრონიადი (რუმინეთი), კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი) — 4-4 (1-1), ა. ჩაიკოვსკაია, ც. კობაიძე, კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 4-4, ნ. ხუბულური — 3,5.

გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება. IV ტურის: ნ. ალექსანდრია — მ. სანაძე 1:0; VI ტურის: თ. ხუგაშვილი — ც. კახაბრიშვილი 0,5:0,5, სკეგინა — უ. ვერეცი (უნგრეთი), კ. ვრეკენი (ჰოლანდია) — ე. ნიუნპერტი (გდრ). (ორივე პარტია კვლავ გადაიდო); VII ტურის: კახაბრიშვილი — სკეგინა 0:1.

ტურნირში საკმაოდ ბლომად დაგროვდა გადადებული პარტიები, თუმცა მოჭადრაკეები ყოველ დილით ორ საათს თამაშობენ მათ დასამთავრებლად. არის გამოტოვებული პარტიებიც. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ხელს უშლის ნამდვილი ლიდერების გამოვლენას.

ხუგაშვილ — კახაბრიშვილის შეხვედრაში ბრძოლა არც განახლებულა. მათ კაბინეტის მყუდროებაში გაკეთებული ანალიზით დაასკვნეს, რომ პარტია საყაიმო იყო.

# ლიდერები და გადადებული პარტიები

სკეგინას ეტლების ენდშპილში კახაბრიშვილთან ზედმეტი პაიკი ჰქონდა. მისი რეალიზება სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან პაიკმა თითქმის მე-8 ჰორიზონტალს მიაღწია. და მაინც, მოსკოველ ოსტატს კარგა ხანს დასჭირდა ფხიზელი თამაში.

ვერეცის დიდი ჯაფა დაადგა სკეგინასთან პოზიციის გათანაბრებისთვის, მაგრამ მაინც ვერას გახდა. მაშინ მან პაიკი დათმო, მაგრამ გაჭირვებისგან ვერც ამან იხსნა: სკეგინას ორი კუ აშკარად სჯობს უნგრელის ორ მხედარს. პარტიის მოგება მხოლოდ დროის საქმეა.

ნიუნპერტი ხშირად უშვებს ტაქტიკურ შეცდომებს. ვრეკენთან იგი პაიკს იგებდა ეტლის დროებითი შეწირვით, მაგრამ ვერ შენიშნა ეს.

ნ. ალექსანდრიამ ავადმყოფობის გამო ორი პარტია გამოტოვა. ერთი მან კვირას ითამაშა სანაძესთან და მოიგო, მეორეს — ნიუნპერტთან — 22 მაისს, დასვენების დღეს, ითამაშებს.

თ. გიორგაძე.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ტურნირის მსაჯი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო არბიტრი ქ. გოგიავა თ. ხუგაშვილის პოზიციით დაინტერესდა.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# „სპარტაკისა" და სპარტაკელების ტრიუმფი

სოხუმი, 20 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). „დინამოს", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „განთიადის", „კოლმეურნისა" და „ლოკომოტივის" 40 სპორტსმენი მონაწილეობს საქართველოს მრავალდღიან ველორბოლაში, რომელმაც გუშინ გაგრაში აიღო სტარტი.

ველოსიპედისტებმა მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს გაგრა — სოხუმის 94-კილომეტრიან ეტაპზე. სოხუმთან ახლოს ძირითად ჯგუფს გამოეყო 8 სპორტსმენი, რომელთა ფიდილმა გადაწყვიტა კიდეც პირველ ეტაპზე გამარჯვების ბედი.

I ადგილი დაიკავა ვ. კეხბამ („სპარტაკი") — 2:58.15, II — ვ. აბშილავამ („ბურევესტნიკი") — 2:58.20, III — შ. დაიაურმა („სპარტაკი") — 2:58.21.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ: „სპარტაკი" — 9:00.34, „ბურევესტნიკი" — 9:01.10, „კოლმეურნე" — 9:04.27.

ველორბოლის მეორე ეტაპია სოხუმი — ზუგდიდი.

ა. ჰიჰინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# ორი რეკორდი, ორი ოსტატი

ივჭალის სასროლეთზე ერთ კვირას გაგრძელდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. შეჯიბრებაში გამოცდილ ოსტატებთან ერთად მონაწილეობდნენ ახალბედებიც, რომელთაგან რამდენიმემ წარმატებასაც მიაღწია. ორმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. რიგითმა ს. სტრეკალოვმა სილუეტებზე სწრაფსროლაში 587 ქულა მოაგროვა, რამაც მას ჩემპიონობა და სპორტის ოსტატობა მოუტანა. რიგითმა ვ. ხატკევიჩმა „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლით 214 ქულა დააგროვა. მანაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ორი ახალი რეკორდი დაამყარა გ. გლადკიმ. არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში მან წოლელა 194, ხოლო ჩოქელა 192 ქულა მოიგროვა.

კარგად გამოვიდა ვ. სალუქვაძე, რომელმაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლაში 565 ქულა აჩვენა და ერთხელ კიდევ შეასრულა საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმა.

ორი გამარჯვება მოიპოვა ტ. კობოსნიძემ: მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე (263 ქულა) და ამავე იარაღით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში — 575 ქულა.

ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე სროლაში უძლიერესი იყო ვ. ახალაძე.

სხვა სახეობებში ჩემპიონები გახდნენ ლ. ქურული, ვ. კირეევა, ო. კუდრიავცევა, ვ. პოგორი, ე. კარტაშიანი და ა. გაზოვი.

ა. ოსიპოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# თბილისელთა და ქუთაისელთა კარგი სტარტი

ქუთაისი, 20 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ქალაქის საჭადრაკო კლუბში დაიწყო მოზარდთა I რესპუბლიკური, ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თამაშებით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელშიც თბილისის, ქუთაისის, ცხაკაიას, აჭარის და აფხაზეთის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. თვითეული გუნდის შემადგენლობაშია 1951-53 წლებში დაბადებული 6 ჭაბუკი და 2 გოგონა.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდა თბილისის გუნდი (მწვრთნელი — თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საჭადრაკო სკოლის დირექტორი პ. ხიზანიშვილი), რომელმაც დაამარცხა აფხაზეთის (8:0) და ცხაკაიას (7:1) გუნდები.

ლიდერს კვალში მიჰყვება ქუთაისის გუნდი (მწვრთნელები დ. ჩირაძე, გ. ქანთარია), რომელმაც მოუგო ცხაკაიას (6:2) და აჭარის (4,5:3,5) კოლექტივებს.

შ. ნიჟარაძე.

# ლარსენის საქმე სათუოა

პორეჩი, 20 მაისი. ბ. ლარსენ (დანია) — ლ. პორტიშის (უნგრეთი) მატჩის VII პარტია განსაკუთრებით მძაფრი იყო. უნგრელმა მოჭადრაკემ, როგორც ყოველთვის, თეთრებით კარგად ითამაშა და გაიმარჯვა.

ამრიგად, ორთაბრძოლის ანგარიში გათანაბრდა — 3,5:3,5. სათამაშო დარჩა 3 პარტია.

## 4,5:1,5

ამსტერდამი, 20 მაისი. ვ. კორჩნოი (სსრ კავშირი) — ს. რეშევსკის (აშშ) მატჩის VII პარტია ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ გადაიდო. სპეციალისტების აზრით, საბჭოთა დიდოსტატს უპირატესობა აქვს. ამ პარტიის დამთავრება ხვალ შედგება. დღეს VIII პარტიაა.

მატჩის ანგარიშია 4,5:1,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

# სხარტი ამბები

● როსტოკი (გდრ), 20 მაისი. ადგილობრივ საცურაო აუზში „ნეპტუნში" დაიწყო წყალში მხტომელთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. ამ საინტერესო ტურნირის პირველ გამარჯვებულებად მოგვევლინენ ლვოველი ლ. ასაევა და ევროპის თასის მფლობელი, იტალიელი ფ. განიოტო. ასაევამ ყველას აჯობა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში — 265,20 ქულა. განიოტომ იმარჯვა ტრამპლინიდან ხტომაში (467,37 ქულა) — მწვავე ბრძოლაში II ადგილზე „გადაიყვანა" თავისი სახელმოხვეჭილი თანამემამულე — ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი კოშკიდან ხტომაში კ. დიბიასი (424,22 ქულა). ცუდად იასპარეზა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონმა, თბილისელმა ბ. პოლულიახმა, რომელიც V ადგილს დასჯერდა (417,77).

● ოსლო, 20 მაისი. ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ქალებმა აქ დამაჯერებლად სძლიეს ნორვეგიის ნაკრებს — 379,65:358,30. პირად ჩათვლაში ექვსივე პირველი ადგილი სტუმრებმა დაიკავეს.

● ვარშავა, 20 მაისი. პოლონეთისა და იუგოსლავიის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდების აქ გამართული შეხვედრა მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 369,20:359,60. მრავალჭიდში ყველას აჯობა პოლონელმა დ. ვიტკოვსკამ — 75,15 ქულა. მეორე შედეგი აქვს იუგოსლაველ ნ. სლეპიცას — 74,80.

● ლუგანსკი, 20 მაისი. ხელბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის ფინალური შეჯიბრების III ტურში ლიდერს — მოსკოვის „ლუჩს" ხერიოზული „გამომცდელი" შეხვდა. მისი მეტოქე იყო ქვეყნის ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი კაუნასის „ჟალგირისი". ლიდერებმა მეორე მარცხი იწვნიეს — 9:11, ჩემპიონებმა კი საპრიზო სამეულში შესვლის შანსი მოიპოვეს. დამაჯერებლად გამოდის სვერდლოვსკის „კალინინეცი", რომელმაც ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა, ამჯერად, ოდესის „ლოკომოტივთან" — 18:9. „შვიესამ" (ვილნიუსი) მოუგო კიევის „ბურევესტნიკს" — 14:8. კიევისა და ბაქოს სპარტაკელების შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 10:10. სატურნირო ცხრილის სათავეში დგას „ლუჩი", რომელსაც 14 მატჩის შემდეგ 24 ქულა აქვს, მაგრამ ლიდერს უკვე მჭიდროდ მიუახლოვდნენ „კალინინეცი" (28 ქულა) და კიევის „სპარტაკი" (22).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### იტალია

ჩემპიონატის ბოლო ტურში „მილანმა“ სორმანის ერთადერთი ბურთის წყალობით სძლია „ვარეზეს“ — 1:0. კალიარიში მილანის „ინტერ ი ს“ ცენტრფორვარდმა კაპელინიმ ორჯერ აილო „კალიარის“ კარი, მაგრამ მეორე ტაიმში გრეატიმ, ბონინსენიამ და რივამ „ინტერს“ გამარჯვება ხელიდან გამოსტაცეს — 3:2.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ბოლონია“ — „მანტოვა“ 1:0, „ლანეროსი“ — „ფიორენტინა“ 1:0, „ნაპოლი“ — „ბრეშია“ 0:0, „სამპდორია“ — „ატალანტა“ 0:0, „იუვენტუსი“ — „სპალი“ 1:0, „ტორინო“ — „რომა“ 2:1.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია პრატი („მილანი“) — 15 გოლი. რივას („კალიარი“), კომბენს („ტორინო“) და ალტაფინის („ნაპოლი“) 13-13 გოლი აქვთ გატანილი.

პირველი ლიგა დატოვეს „მანტოვამ“, „ბრეშიამ“ და ფერარის „სპალმა“.

აი, ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 30 | 53:24 | 46 |
| „ნაპოლი“ | 30 | 34:24 | 37 |
| „იუვენტ.“ (ტურინი) | 30 | 33:29 | 36 |
| „ფიორენტინა“ | 30 | 35:23 | 35 |
| „ინტერნ.“ (მილანი) | 30 | 46:34 | 33 |
| „ბოლონია“ | 30 | 30:23 | 33 |
| „ტორინო“ | 30 | 44:31 | 32 |
| „ვარეზე“ | 30 | 28:27 | 32 |
| „კალიარი“ | 30 | 44:38 | 31 |
| „სამპდორია“ (გენუა) | 30 | 27:34 | 27 |
| „რომა“ | 30 | 25:35 | 27 |
| „ლანერ.“ (ვიჩენცა) | 30 | 22:30 | 25 |
| „ატალან.“ (ბერგამო) | 30 | 26:42 | 25 |
| „სპალი“ (ფერარა) | 30 | 24:38 | 22 |
| „ბრეშია“ | 30 | 20:35 | 22 |
| „მანტოვა“ | 30 | 13:37 | 17 |

### პორტუგალია

აი, ჩემპიონატის ბოლო ტურის შედეგები: „ვიტორია“ (გიმარაისი) — „ბარეირენსე“ 2:1, „ბენფიკა“ — „ვარზიმი“ 8:0, „ფკ პორტუ“ — „ვიტორია“ (სეტუბალი) 2:1, „ბელენენსესი“—„სპორტინგი“ (ლისაბონი) 4:0, „აკადემიკა“ — „ლეიქსოსი“ 1:0, „ტირსენსე“ — „სან ჟოანენსე“ 2:2, „სპორტინგი“ (ბრაგა) — კუფ 1:1.

საუკეთესო სნაიპერია ეუსებიო („ბენფიკა“) — 42 გოლი.

1 ლიგა დატოვეს დებიუტანტებმა „ბარეირენსემ“ და „ტირსენსემ“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ (ლისაბ.) | 26 | 75:19 | 41 |
| „სპორტინგი“ (ლისაბ.) | 26 | 48:24 | 37 |
| „ფკ პორტუ“ | 26 | 60:24 | 36 |
| „აკადემიკა“ (კოიმბრა) | 26 | 52:24 | 35 |
| „ვიტორია“ (სეტუბ.) | 26 | 46:20 | 34 |
| „ვიტორ.“ (გიმარაისი) | 26 | 31:34 | 27 |
| „ბელენენსესი“ (ლის.) | 26 | 38:40 | 25 |
| „ლეიქსოსი“ (პორტუ) | 26 | 29:38 | 24 |
| კუფ (ბარეირო) | 26 | 27:38 | 21 |
| „სან ჟოანენსე“ | 26 | 22:40 | 21 |
| „სპორტინგი“ (ბრაგა) | 26 | 29:51 | 21 |
| „ვარზიმი“ | 26 | 27:50 | 17 |
| „ტირსენსე“ | 26 | 17:53 | 15 |
| „ბარეირენსე“ | 26 | 25:71 | 10 |

### იუგოსლავია

გათამაშების ლიდერმა — ბელგრადის „პარტიზანმა“ მორიგ ტურში ფრედ ითამაშა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“—2:2, ხოლო „ფკ სარაევომ“ ნიშში წააგო ადგილობრივ „რადნიჩკისთან“ — 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პარტიზ.“ (ბელგრ.) | 24 | 39:24 | 34 |
| „ცრ. ზვეზ.“ (ბელგრ.) | 24 | 48:24 | 33 |
| „ჟელეზნ.“ (სარაევო) | 24 | 37:25 | 28 |

### ჩეხოსლოვაკია

ქვეყნის ჩემპიონი — პრაღის „სპარტა“ შინ შეხვდა თასის მფლობელსა და ლიდერს — ტრნავის „სპარტაკს“. შეუპოვარი მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ტრნავა) | 22 | 42:21 | 29 |
| „სპარტ.“ (ტრენჩინი) | 22 | 37:26 | 27 |
| „სლოვანი“ (ბრატის.) | 22 | 32:19 | 26 |

### რუმინეთი

თასის მფლობელმა — ბუქარესტის — „სტიაუამ“ კრაიოვაში სძლია ადგილობრივ „უნივერსიტატეას“ (1:0) და ჩემპიონატში ლიდერობა შეინარჩუნა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტიაუა“ | 21 | 33:22 | 27 |
| „ფკ არგეში“ | 21 | 32:18 | 25 |
| „იული“ (პეტროსენი) | 21 | 30:24 | 23 |

## 87-ე თასის ფინალი

შაბათს ლონდონის „უემბლიზე“ მოეწყო ინგლისის თასის გათამაშების 87-ე ფინალური მატჩი. ამჯერად ერთმანეთს შეხვდნენ ლივერპულის „ევერტონი“ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“.

**„ევერტონი“:** ვესტი, რაიტი, ლებონი, უილსონი, ჰერსი, ჰარვი, ჰაზბენდი, როილი, ბოლი, კენდალი, მორისი.

**„ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“:** ოსბორნი, ფრეზერი, უილიამსი, ბრაუნი, ტალბეტი, სტივენსი, კოლარდი, კეი, ჰოუპი, ესტლი, კლარკი.

მატჩი ძალიან უინტერესოდ მიმდინარეობდა და მაყურებელი ამას გამოხატავდა შეძახილებით: „ჩვენ გვსურს ფეხბურთი!“

თუმცა „ევერტონის“ რიგებში ინგლისის ნაკრების 3 წევრი (ლებონი, უილსონი, ბოლი) თამაშობდა, მან ვერ შეძლო მეტოქის „ბეტონის“ გარღვევა. ორი ტაიმი ისე ამოიწურა, რომ ანგარიში არ გახსნილა, თუმცა უპირატესობა „ევერტონის“ მხარეზე იყო.

დაინიშნა დამატებითი დრო, რომლის უკვე მე-2 წუთზე ინგლისის საუკეთესო სნაიპერმა ესტლმა (34 გოლი) გაიტანა გოლი „ევერტონის“ კარში — 1:0.

დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა. ამრიგად, ინგლისის თასი მეხუთედ მოიპოვა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ (ეს ფინალში მისი მეათე გამოსვლა იყო. ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში მხოლოდ „ნიუკასლ იუნაიტედს“ უთამაშია ფინალში ამდენჯერ), რომელმაც თასი უკანასკნელად 14 წლის წინათ, 1954 წელს მოიპოვა.

(საქ. ინფ.).

## მოწყალება გარინჩასთვის

ამ სათაურს პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ. რა თქმა უნდა, საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი, ბრაზილიის ნაკრების ვარსკვლავი, სტოკჰოლმისა და სანტ-იაგოს მსოფლიო ჩემპიონატების გმირი, 34 წლის მანოელ დოს სანტოსი, რომელიც მილიონობით ადამიანთათვის ცნობილია გარინჩას სახელით, გაშვერილი ხელით არ დგას ხიდის თავში და გამვლელ-გამომვლელს არ ეხვეწება მოწყალებას, მაგრამ იგი მაინც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია. გარინჩას იმდენად ცუდად აქვს საქმე, რომ არ შეუძლია ალიმენტი გადაუხადოს თავის ყოფილ ცოლსა და 8 გოგონას.

ამის შესახებ პრესაში რამდენიმეჯერ დაიწერა. სან-პაულუს კლუბმა „კორინტიანსმა“, რომელიც დიდად უნდა უმადლოდეს გარინჩას თავის მაღალ რეპუტაციას, ფაქტიურად უარი თქვა ამ ფეხბურთელის სამსახურზე და გარინჩას სათადარიგოთა სკამიდან უხდება იმის თვალის დევნება, თუ როგორ თამაშობენ სხვები. ეს კი აუწერელ ტანჯვას აყენებს ფეხბურთელს, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს საუკეთესო მეკარეებს და მცველებს. დასრულდა კარიერა, გათავდა ფული. გარინჩა ალარავის ჰირდება.

ალიმენტის გადაუხდელობისთვის სასამართლომ განთქმულ ფეხბურთელს მიუსაჯა 3 თვით პატიმრობა და გარინჩას საპყრობილის საკანში ამოაყოფინებდნენ თავს, რომ არ გამოჩენილიყო ერთი გულკეთილი ბანკირი ხოსე ლუის დე მაგალაესი, რომელმაც მთლიანად გადაიხადა გარინჩას ვალი.

— ეს სრულიად გულწრფელი ჟესტია ძველი მეგობრის მიმართ, რომელიც გასაჭირში ჩავარდა, — თქვა ბანკირმა. — მე მხოლოდ მინდოდა თანაგრძნობა გამომეხატა ადამიანის მიმართ, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ბრაზილიურ ფეხბურთს.

## პროგნოზები

ახლა, როცა უკვე გარკვეულია, თუ ვინ ითამაშებს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალში, საინტერესოა გავიხსენოთ ის გამოკითხვა, რომელიც გდრ-ის სპორტულმა გაზეთმა „დოიჩეს შპორტეჰომ“ ჯერ კიდევ მარტში მოუწყო თავისი ქვეყნის ცნობილ ფეხბურთელებს და ექსპერტებს: ვინ გავა ნახევარფინალში?

**პ. დუკე (იენა, „კარლ ცაისი“, თავდამსხმელი):** ნახევარფინალში გავლენ სსრ კავშირი, ინგლისი და იუგოსლავია. იტალიასა და ბულგარეთს თითქოს თანაბარი შანსები აქვთ, მაგრამ იტალიელებს მეტი გამოცდილება გააჩნიათ.

**კ. ვოლფი (გდრ-ის ნაკრების ყოფილი წევრი):** ნახევარფინალში გავლენ ინგლისი, იტალია, სსრ კავშირი და იუგოსლავია.

**კ. ლიბრეხტი (შტენდალის „ლოკომოტივი“):** უპირატესობას ვანიჭებ უნგრეთს, ინგლისს, იტალიასა და იუგოსლავიას.

**ჰ. იურა (ცვიკაუს „ზაქსენრინგის“ კაპიტანი):** სამწუხაროა, რომ უნგრეთი და სსრ კავშირი მეოთხედფინალში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ორივე ეს გუნდი ღირსია ფინალში თამაშისა ინგლისთან ერთად. მე მგონია, უნგრეთი თავისი სწრაფი, კარგად ორგანიზებული იერიშებით გაიმარჯვებს. ბულგარეთს იტალია დაამარცხებს, ხოლო საფრანგეთს — იუგოსლავია.

**ო. ფრესდორფი („ფორვერტსის“ მცველი):** ვფიქრობ, უნგრეთი თავისი ახალი მწვრთნელის კ. შოოშის ხელმძღვანელობით ამჯერად დაამარცხებს სსრ კავშირს. იტალია — ბულგარეთის შეხვედრაში გაიმარჯვებს იტალია. მსოფლიო ჩემპიონი — ინგლისი თანდათან ფორმაში შედის და ესპანეთი ძლეული იქნება. იუგოსლავიას დიდი უპირატესობა აქვს საფრანგეთის წინაშე.



## „მომეცით მორი“...

... ტრადიციულ კუბოკრულ ქვედატანში გამოწყობილი ცხრამეტი კუნთმაგარი შოტლანდიელი მაყურებლის წინ ჩამწკრივებულა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტის უჩვეულო სახეობაში — მორის ტყორცნაში. ეს შეჯიბრება შოტლანდიელი მთიელების დღესასწაულის აუცილებელი სამკაულია.

შოტლანდიის მემატიანეებს უკვე რამდენიმე საუკუნეა შეაქვთ თავიანთ წიგნებში საუკეთესო მტყორცნელთა სახელები. მართალია, ბოლო წლებში ასპარეზობა „დიაა“ — მასში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელსაც კი ტრადიციული შოტლანდიური ტანსაცმელი ეცმევა. ბოლო შეჯიბრებაში ჩემპიონობა მოიპოვა ვესტ-ინდოეთიდან გადმოსახლებულმა რონალდ ბლეკმანმა, რომელსაც თქვენ სურათზე ხედავთ.

შავკანიანმა გიგანტმა უჩვეულო კოსტუმი ჩაიცვა, ხელებზე დაიფურთხა და „სტარტზე“ გამოვიდა“ — მორი აილო, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და ტყორცნა. 70-კილოგრამიანი „ასანთის ღერი“ ბუმბულივით აფრიალდა ჰაერში. ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით მოხდა. მაყურებელმა ტაში დასცხო და რონალდს პრიზი გადასცეს.

ბლეკმანი იყო პირველი უცხოელი, რომელმაც დაამარცხა ამ უხერხული „იარაღის“ დაძლევაში დიდად დაოსტატებული შოტლანდიელი გოლიათები.

ახლახან სპორტის ამ უჩვეულო სახეობით დაინტერესდნენ ამერიკელებიც. ფირმამ, რომელიც აქამდე ფაფის კონცენტრატს უშვებდა, გადაწყვიტა მტყორცნელთა შეჯიბრება ჩაეტარებინა თავისი ნაწარმის რეკლამის მიზნით. მაგრამ შეჯიბრება კურიოზით დამთავრდა. როგორც ჩანს, მონაწილეებს ცოტა ფაფა ჰქონდათ ნაჭამი და ვერაფერი მოუხერხეს ექვსმეტრიან მორს. ფაფის მოყვარულები იძულებული შეიქნენ მსაჯთა კოლეგიისთვის „ასანთის ღერის“ დამოკლება ეთხოვათ. ბოლოსდაბოლოს შეჯიბრება ჩატარდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ამბავს, რომ უჩვეულო სანახაობაზე მისულ ერთ-ერთ ფოტოკორესპონდენტს მორი მხარში მოხვდა და სანიტარული მანქანის გამოძახება შეიქნა საჭირო, ასპარეზობა მშვიდობიანად დამთავრდა.



▲ **პრაღაში გამართულ ტურნირში კ. ფაიტოვა 178 სმ სიმაღლეზე გადახტა და 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა ჩეხოსლოვაკიის რეკორდი.**

▲ ბრაზილიის მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც დოპინგის ხმარებისთვის ერთიდან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ასეთივე სასჯელი დაედება მას, ვინც დოპინგს ცხენს გაუკეთებს.

▲ ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ცნობილმა ფრანგმა სამთომოთხილამურემ მარიელ გოიჩელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თავს ანებებს სპორტსმენობას და მწვრთნელობას იწყებს.

▲ **ფრანგმა მოცურავემ მარკ დე ჰერდმა 200 მეტრი ბრასით 2 წუთსა და 33,2 წამში გაცურა, რაც ახალი ეროვნული რეკორდია.**

▲ ბულგარეთის სტუდენტ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 4 ეროვნული რეკორდი გაუმჯობესდა: ი. ბლაგოევამ 179 სმ სიმაღლე დაძლია, ს. იურუკოვამ ხუთჭიდში 4781 ქულა მოაგროვა, დ. კოლევამ 100 მეტრზე თარჯრბენში 14,7 აჩვენა, ს. ჟალოვამ კი 200 მეტრზე თარჯრბენში დაამყარა რეკორდი — 28,6. 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა რეკორდი (10,3) გაიმეორა კ. შიპოკლიევმა.

## რას ნიშნავს თანადროულობა სპორტში?

თანადროულობაზე სულ უფრო ხშირად და სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ. ყოველ დარგში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტექნიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში მისკენ მისწრაფება სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა პროგრესისთვის, ახალ ფასეულობათა შექმნისთვის, ადამიანის მატერიალური და სულიერი გამდიდრებისთვის.

თანადროულობისთვის ბრძოლა არც სპორტისთვისაა უცხო ხილი. სპორტი ხომ ის უბანია ჩვენი ცხოვრებისა, რომელიც დღითიდღე უფრო ფართოდ და დინამიურად ვითარდება. სპორტმა დაიპყრო არა მარტო ახალი წრეები და კერები, არამედ ახალი ქვეყნებიცა და კონტინენტებიც. ბოლო წლებში სპორტის ფორმა და შინაარსი გამდიდრდა. სპორტული შედეგების როლის ზრდა რეკორდებისკენ სწრაფვის მიზეზია. ამდენად, იგი აძლიერებს მეტოქეობას სხვადასხვა ქვეყანას შორის, რომლებიც თავის მხრივ იძულებული არიან სპორტში სულ უფრო მეტი სპეციალისტი მიიზიდონ. დღეს ერთ ტექნიკურ ან მეთოდურ ელემენტს შეუძლია გავლენა მოახდინოს რეკორდზე.

ბევრი სპორტს მხოლოდ ბიოლოგიურ როლს ანიჭებს. საკითხის ასე გახსნა თანადროული სულაც არ გახლავთ. სპორტი სერიოზულ სოციალურ და ჰუმანურ დავალებებს ასრულებს, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა. ეს ამბავი მარტო სპორტსმენებმა როდი იციან.

სპორტის არსებითი ფუნქციები ყველას უნდა ავუხსნათ. ფიზიკური კულტურის როლი ღრმად საზოგადოებრივი და ჰუმანურია. სპორტის არსი ასე უნდა ესმოდეს საზოგადოებას.

თანადროულობა, ესაა უნარი, რომ სპორტი ცხოვრების სხვა უბნებს დავუკავშიროთ, გამოვიყენოთ სხვა დარგების მიღწევები ფიზიკური კულტურისთვის და პირიქით. ავიღოთ, მაგალითად, ტელევიზიის საკითხი. სულ უფრო აშკარად აცხადებენ, რომ ტელევიზია სპორტის მტერიაო, რომ იგი თითქოს ზღუდეს ქმნის ხალხსა და სპორტს შორის. მაგრამ ხომ შეიძლება ტელევიზია სწორად გამოვიყენოთ სპორტის საჭიროებისთვის? უნდა გამოვიყენოთ ტელევიზიის დიდი შესაძლებლობები და მისი საშუალებით მივიწვიოთ სტადიონებზე ის ხალხი, შინ რომ ზის და ყველა სპორტულ შეჯიბრებას უყურებს. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ტელევიზია შეიძლება გამოვიყენოთ დასვენების საშუალებად საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ კლუბში ან სტადიონის კაფეში.

ეს პროგრესი უთუოდ რისკია. ჩვენ გვეშინია რისკისა. გვინდა ურისკოდ მივიღოთ ეფექტი. მწვრთნელმა კი მუდამ თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს უახლესი თეორიისა და პრაქტიკის ყველა მიღწევა და მონაპოვარი. უამისოდ ძნელია მაღალ შედეგებზე, მით უმეტეს, თანადროულობაზე ლაპარაკი.

თანადროულობა პირველ ყოვლისა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული მოქმედებაა. ეს ეხება ჩვენი ცხოვრების ყველა უბანს და, რასაკვირველია, სპორტსაც. აი, რა არის მთავარი:

1. პროფესიული კადრების შრომის საპასუხისმგებლო უბნებზე გამოყენების უნარი;

2. ახალ-ახალ საშუალებათა გამონახვის უნარი პროგრესის გამო გამუდმებით მზარდი დავალებების შესასრულებლად;

3. საორგანიზაციო და მეთოდური დავალებების განსაზღვრის უნარი კონკრეტულად არსებულ ეკონომიურ პირობებში.

ეხება თუ არა ეს ყოველივე სპორტსა და ფიზიკურ კულტურას? ეს არ შეიძლება საეჭვო იყოს. იმ მიზნით, რომ თანადროულობამ თავისი ადგილი ჰპოვოს ცხოვრებაში, აუცილებელია სპორტის პრაქტიკა უზრუნველვყოთ საჭირო ხერხებით, რომლებიც მუშაობის კონტროლის ობიექტური მეთოდების დანერგვის საშუალებას იძლევიან. მხედველობაში გვაქვს სწავლების კარგად დამუშავებული დოკუმენტაცია, მარტივი საკონტროლო აპარატების გამოყენება და სხვ.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, თანადროულობა სპორტში ძალიან ფართო ცნებაა, რომელსაც ტექნიკური საკითხების ვიწრო წრემდე ვერ დავიყვანთ. სპორტის როლის, მნიშვნელობისა და ადგილის სწორი გაგება თანადროულობის დასტურია.

თანადროულობისთვის ბრძოლა სულ უფრო აქტიური ხდება მსოფლიო სპორტში. ამ თემაზე დისკუსიებია გაჩაღებული ყველა ქვეყანაში. შემთხვევას უკვე აღარავინ ეყრდნობა. მთავარია, რომ სპორტის მუშაკებს სამუშაო პირობები შევუქმნათ. შედეგი შრომის შესაბამისი იქნება, შრომას კი სათანადო პირობები სჭირდება.

**ტ. ულატოვსკი,**
**დოქტორი, ვარშავის სპორტის ინსტიტუტის დირექტორი.**

(თარგმანი ჟურნალ „სპორტოვეციდან“).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04068